საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№146 (6371) • 6 დეკემბერი ხუთშაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

მუნიციპალური არჩევნების წინ

30 ნოემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიად საქართველოს კრება. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია საქართველოს რესპუბლიკაში; მზადება მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია. შეჩერდა რა რესპუბლიკის ახლანდელი სიტუაციის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებზე, მან თქვა, რომ გათვალისწინებულია მთელ რესპუბლიკაში შეიქმნას კომისიები ადგილებზე წარმოქმნილი სიძნელეების რეგულირებისათვის. კერძოდ, აღნიშნა მან, ბლოკის მიერ არჩევნებში მოპოვებული ფაქტიური გამარჯვების მიუხედავად, ძველი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები განაგრძობენ თვითმმართველობას, რაც ხშირად ადგილებზე უწესრიგობათა მიზეზი ხდება. ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ აუცილებელია შეწყდეს მიწისა და სახელმწიფო ქონების დანაწილება მანამდე, სანამ მუნიციპალური არჩევნების შედეგად არ შეიქმნება მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და მიღებული იქნება შესაბამისი კანონები. ამ კომისიებმა, აღნიშნა დასასრულს ზ. გამსახურდიამ, უნდა აღკვეთონ ყოველგვარი ჯურის სამართალდარღვევები, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი. ყველამ უნდა შეიგნოს, ხაზი გაუსვა მან, რომ ჩვენ დესტაბილიზაციის წინააღმდეგი ვართ. ამასთანავე აღნიშნა, რომ მუნიციპალური არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ადგილებზე ხელისუფლება ეკუთვნით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

შემდეგ გამოვიდა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის მუნიციპალური არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რუსლან ღონღაძე. მან ილაპარაკა იმის აუცილებლობაზე, რომ საქართველოს დიდ ქალაქებში და მათ შორის თბილისში დაარსდეს „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები, რომელიც გასწევს მომავალი არჩევნებისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს. ამასთან ერთად, რ. ღონღაძემ შეიტანა წინადადება, რომ ფორმირებულ იქნას ექსპერტთა საბჭოები, რომლებთანაც მჭიდრო კავშირი ექნებათ „მრგვალი მაგიდის“ რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

კამათში გამოსულები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუნიციპალური არჩევნების რაც შეიძლება ჩქარა ჩატარებას, რამეთუ, მათი სიტყვით, „ადგილებზე წარმოქმნილი ხელისუფლების დეფიციტი კანონიერებისა და მართლწესრიგის მრავალ დარღვევას იწვევს“.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა დამსწრეთ გააცნო ღონისძიებანი, რომლებსაც მილიციის ორგანოები ახორციელებენ რესპუბლიკაში სიტუაციის სტაბილიზაციისათვის. დამსწრენი პირდაპირ განაცვიფრა მის მიერ მოყვანილმა ფაქტებმა, რომ თბილისის სასურსათო ბაზებში გამოვლენილია ათობით ტონა დეფიციტური სასურსათო საქონელი. უახლოეს დღეებში ეს საქონელი გამოტანილი იქნება მაღაზიების დახლებზე, ამიერიდან აღმოიფხვრება შეფერხება თამბაქოს ნაწარმის მოწოდებაშიც.

აუდიტორიისათვის საინტერესო რიგ კითხვებს პასუხი გასცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარემ თედო პაატაშვილმა.

აქვე, კრებაზე, დაიწყო მომავალი კომისიების შექმნა.

„მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიად საქართველოს კრება გვიან ღამით დამთავრდა.

ვარლამ მურადელი.

(გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1. XII. 1990 წ.).

საქართველოს ეროვნული კონგრესის სესია

30 ნოემბერს თბილისში საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიამ.

სესია გაიხსნა ლოცვით. კონგრესმენებმა დაგმეს ის აღმაშფოთებელი ინციდენტი, რაც მოხდა აფხაზეთში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიმართ. სესია მხურვალედ მიესალმა სტუმარს — სომხეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ყოფილ დისიდენტს პარუირ აირიკიანს, რომელმაც საპასუხო მისასალმებელი სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

პოლიტიკური მოხსენება სესიაზე გააკეთა ბატონმა თემურ სუმბათაშვილმა. თანამოსხენება—ბატონმა ირაკლი წერეთელმა.

სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს უნდა მიენიჭოს დაპყრობილი, ანექსირებული, ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი, რომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

ამ დღეს განიხილეს საქართველოს ეროვნული კონგრესის ძირითადი პრინციპები ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მუშაობის წესის შესახებ. გაიმართა ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის არჩევნები.

პირველ დღეს სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი გიორგი ჭანტურია.

1 დეკემბერს საქართველოს ეროვნული კონგრესის სესია მუშაობას განაგრძობდა.

ნინო თათრულაძე,

საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტი.

ДЕВЯНОСТОЕ ЛЕТО: СОЦИАЛЬНОЕ, СОЦИАЛЬНОЕ, СОЦИАЛЬНОЕ

როგორც ერს სჭირდება

გახსაკუთრებით რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაშია ამჟამინდელი საქართველო, ქართველი ხალხი. ძალზე ჭირს გაერკვე შექმნილ სიტუაციაში. ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ამის მკაფიო დასტურია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება. შეიქმნა რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, წლების განმავლობაში იმედგაცრუებულ ხალხს გამარჯვების და ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნების რწმენა ჩაესახა, მაგრამ ძალზე მაღელვებს და მაფორიაქებს ეროვნული მოძრაობის გათიშულობა, მჯერა, რომ ყველა პარტიას (რომელიც საკმაოდ ბევრია საქართველოში), ეროვნული მოძრაობის ყველა მიმართულებას ერთი მიზანი აქვს. მაშ, რაშია საქმე, ნუთუ არ შეიძლება ერთი მიზნისკენ მიმავალმა ყველა ძალამ დაპირისპირების გარეშე შეაჯერონ აზრები, გონივრულად აწონ-დაწონონ და ერთიანი ძალით გაუძღვნენ ერს?

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საბჭოებს ფაქტიურად არავითარი ძალა-უფლება არ ჰქონია, ის პარტიული დიქტატს, მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და მხოლოდ მათი ნება-სურვილის შემსრულებლად გვევლინებოდა.

სოფლად ბევრი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა გადაწყვეტი, რომელსაც საბჭოები ვერ წყვეტენ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი ეკონომიკური საშუალებები და სხვისი ხელის შემყურემ რა საკითხი უნდა გადაწყვიტოს. ახლა საქართველოს ახალი უზენაესი საბჭო ამზადებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნებს, ჩემი აზრით, რა სახელიც არ უნდა დაერქვას ამ ორგანოებს, ის ხალხის ნების გამომხატველი უნდა იყოს და აღიჭურვოს სრული უფლებით, ადგილობრივი პირობების შესაბამისად დამოუკიდებლად წყვეტდეს ყველა საკითხს. ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური საშუალება, რომ მიხედოს სოფელს, ემსახუროს ხალხის კეთილდღეობას. ამ ორგანოებში ასარჩევი კანდიდატურები თვით ხალხის ნება-სურვილით უნდა იქნას წამოყენებული. იქ უნდა მოხვდნენ კეთილსინდისიერი, მხოლოდ ხალხის და არა პირადი კეთილდღეობით დაინტერესებული ადამიანები.

ამჟამად ძალზე მწვავე პრობლემაა საქართველოში მიწის საკუთრების საკითხის გადაწყვეტა. ეს პრობლემა უფრო მძაფრია ჩვენთან, განსაკუთრებით მცირემიწიან რეგიონში, რასაც ბოლო წლებში სტიქიური უბედურებებიც დაემთხვა და საჭირო გახდა ფუძე-კარიდან აყრილი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ჩვენი დღეების ადამიანები

დედა მიცვნია ღმერთადა

საქართველოში ქალის კულტი ყოველთვის იყო, არის და იქნება. ქალი, დედა, ოჯახის დედაბოძი ყოველთვის პატივისცემით იყო გარემოსილი. სწორედ რომ პატივისცემის და სიყვარულის ღირსია ქალი, დედა, რომელიც ქალური კდემამოსილებით, პატიოსნად შესდგომია იმ სიძნელეებს, რასაც ოჯახის ტვირთი ჰქვია.

6 შვილის დედაა ისუნდრელი უუჟუნა ბენდელიანი-ჩაკვეტაძე. ვინ მოთვლის რამდენი გასაჭირი, სიღარიბე არგუნა ბედმა.

სითბო, სიკეთე და სიყვარული იღვრება მისი ფიქრით სავსე თვალებიდან. მოკრძალებული და სათუთია, უსაზღვროდ მომთმენი, ჩუმი, უწყინარი და თავმდაბალი.

მეუღლეც საოცრად მშრომელი და პატიოსანი ჰყავდა, მაგრამ სამი ვაჟისა და სამი ქალიშვილის გაზრდა არ იყო იოლი. ის კი არა, წლიდან წლამდე კოლმეურნეობაში შრომით ნახევარი წლის სარჩოც ვერ შემოჰქონდათ ოჯახში. ოჯახის მამა ვანო ჩაკვეტაძე ნაადრევად წავიდა და დედას და შვილებს ერთი ჩვეულებრივი ხის ოდა-სახლი დაუტოვა. ეს იმ დროს მოხდა, როცა შვილებს ხელის შეშველება და მამა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

ცალად დარჩენილმა დედამ იყოჩაღა, ქალიშვილები სამივე დააოჯახა, ჯერი ვაჟების დაქორწინებაზე მიდგა. პირველად უმცროსი თემური დაქორწინდა და ახლა შვილის მოლოდინშია, დანარჩენ ვაჟებსაც უნდათ მამისეულ კერაზე იცხოვრონ, აქვე მშობლიურ მიწაზე გამრავლდნენ, მაგრამ ამის შესაძლებლობა არის კი? ეუხერხულა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რაღაც დახმარების გზას მიმართა უუჟუნამ, გაიგო, რომ ქალთა რაიონული საბჭო მრავალშვილიანი დედების თანამგრძნობიაო და ამ მოკრძალებულმა ქალმა ბევრი ფიქრის შემდეგ გაბედა და ქალთა რაიონულ საბჭოში მივიდა. თბილად მიიღეს, დახმარებაც აღუთქვეს და კმაყოფილი დაბრუნდა, იგრძნო, რომ ვიღაცამ თანაუგრძნო, ვიღაცას უურადღების ცენტრში ჰყავს. სასოფლო საბჭომ ამას წინათ სესხი გამოუყო, ეს ხომ ზღვაში წვეთია იმ დიდ საჭიროებებთან, რაც შვილების გამრავლება-დაოჯახებისთვისაა საჭირო, მაგრამ ბიჭები შრომისმოყვარეებია და ოჯახიც აღორძინდება, ამ თბილი და ტკბილი დედის გულის ნადები შესრულდება, ბიჭები სოფელს არ დატოვებენ, დაოჯახდებიან, მამისეულ კერაზე გამრავლდებიან, რაც მთავარია ერთმანეთი უყვართ, ვერც დედას და ვერც ერთმანეთს ვერ მორჩებიან. სწორედ დედის დამსახურებაა ეს, დედამ, ოჯახის დედაბოძმა ერთმანეთის სიყვარული ჩაგონა შვილებს და მისი გული ყველას ერთნაირად გაუნაწილა. მისთვის სულერთია უფროსი თუ უმცროსი, ქალიშვილი თუ ვაჟი, არც ერთს ერთმანეთში არ არჩევს, ყველა—ექვსივე ერთნაირი სიყვარულით უყვარს და მიუხედავად იმისა, რომ საშროში და საზრუნავი ულევი აქვს, ხიხარულიც ბევრია. ეს სამოც წელს გადაცილებული დედა და ტკბილი ბებია სიკეთესა და პატივისცემას იმკის შინ და გარეთ.

ასეა, ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მართლაც რომ ღმერთადაა საცნობი.

სამშენებლო პოლიგონს გავს ახლა მათი ეზო, აშენებენ, ქმნიან, ალამაზებენ ბიჭები... კვლავ სითბო და სიხარული იყოს მათ ჭერქვეშ.

ბ. ბაძრაძე.

სკოლა და ცხოვრება

დღეს ყველაზე მედგრად მასწავლებლობა უნდა დადგეს ეროვნულ სადარაჯოზე, საქმე დღესაც ყველაზე ძნელი და ყველაზე რთული გვაქვს ჩვენ. ერის მომავალი და სასოება—ახალი თაობა უნდა ავამაღლოთ და გავასპეტაკოთ. გზების ძებნა ყველაზე ძნელია ამ შემთხვევაში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სასწავლო წლის დასაწყისშივე შეუდგა ახალი გზების და მეთოდების ძებნას სასწავლო საღამზრდელო პროცესში განსახორციელებლად.

ცოდნა და მშვიდობა—აი, რა არის საჭირო რომ შენებამ გაიმარჯვოს ნგრევაზე. სიკეთემ—ბოროტებაზე, ბედნიერებამ—უბედურებაზე, თითოეულ ჩვენთაგანს ახლა გვმართებს სიბრძნე, დაკვირვება, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯის გონივრული მოფიქრება, ერთმანეთის გაფრთხილება და სიყვარული, რადგან არც ერთ ფენას არ ხელეწიფება ისე გაბედულად ამ გზით სიარული, როგორც წარსულის ტვირთისაგან თავისუფალ, გაბედულ და მართალ ახალგაზრდობას. სწორედ ამისთვისაა აუცილებელი პედაგოგებმა დაუღალავად ვიშრომოთ, რათა აღვზარდოთ ჭეშმარიტი მამულიშვილები.

ჩვენი ყოველდღიური ძნელი შრომა აღსავსეა უამრავი პრობლემებით.

მთელ რიგ კლასებში არ გაგვაჩნია სახელმძღვანელოები და პროგრამები, როგორც დაწყებით, ისე ზედა კლასებში. ყოველად წარმოუდგენელია მოსწავლეს დღეს ვესაუბროთ ისეთ საკითხებზე, რაც ჩვენს და მათ ფსიქოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ ვცდილობთ არსებული პროგრამების მიხედვით შემოქმედებითად მივუდგეთ სწავლებას. ზოგიერთ მასალას ვიღებთ სასწავლო კურსიდან.

მოსწავლეთა და მშობელთა სურვილით მეათე კლასში გავხსენით ერთი ჯგუფი ქიმია-ბიოლოგიის პროფილირებული სწავლებისათვის. ფაკულტატურის საათები დავუთმეთ ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ქიმიის, მათემატიკის, გერმანული ენის სწავლებას. წელს პირველად შემოვიღეთ რელიგიის ისტორიის სწავლება (ძასწავლებელი ახალგაზრდა სპეციალისტი მარი წველებაშვილი). ახალ სასწავლო გეგმაში გვაქვს ცვლილებები, კერძოდ, დაწყებით კლასებში ისწავლება ძუსიკა და რითმი, მხატვრული შრომა.

მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა თხოვნით სკოლა გადავიდა ხუთდღიან სწავლებაზე, რის შესაძლებლობასაც თვით სასწავლო გეგმები გვაძლევდა. ამით ძოგვეცა საშუალება შაბათი და კვირა გამოვიყენოთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისათვის, სასწავლო ექსკურსიებისათვის და სხვა ღონისძიებებისათვის.

სკოლაში სასწავლო საღამზრდელო პროცესის სრულყოფისათვის ძთელი რიგი ღონისძიებებია დაგეგმილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა მთლიანი ნაწილის ინტერესი სწავლისადმი. ამას ემატება ზოგჯერ მშობელთა პასიური პოზიცია შვილებთან მომთხოვნელობის თვალსაზრისით.

დღევანდელ საქართველოს როგორც არასდროს ისე სჭირდება მცოდნე კაცი. რაც სწავლით მიიღწევა, ამიტომ მასწავლებლების და მშობლების უპირველესი საზრუნავი სწორედ ეს არის.

ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ცაგერს ექნება ახალი ტიპიური საშუალო სკოლა, რომლის მშენებლობის დაჩქარებას ყველას ვთხოვთ, რადგან სასწავლო-საღამზრდელო პროცესის ნორმალიზაციას თანამედროვე ტიპის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დიდად შეუწყობს ხელს.

ჩვენ ოპტიმისტურად განგვაწყო საქართველოს უზენაესი საბჭოს ახლახან გამართულმა სესიამ, ბატონ ზვიად გამსახურდიას მოხსენებამ. გვიხარია, რომ მოხდება განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა, სასწრაფოდ გადაისინჯება სასწავლო პროგრამები, გაუქმდება ყოვლად უსარგებლო, ზედმეტი დისციპლინები, ეგრეთ წოდებული სსრ კავშირის ისტორია და სხვა.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენი აღზრდილები იყვნენ ზნეობრივად მაღალი, იცოდნენ სათნოება, სიყვარული და ერთგულება მამულისადმი.

ერის დამოუკიდებლობა, გადარჩენა, ეს არის თითოეული ჩვენთაგანის სანუკვარი, მთავარი ოცნება და ეს რომ შევძლოთ, უნდა გვყავდეს განსწავლული ერის შვილები, რომლებსაც კარგად ეცოდინებათ გზა ხსნისა და გზა ცხოვრებისა, ამიტომ ვცდილობთ ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა ეროვნული სულისკვეთებით აღვზარდოთ მოსწავლე-ახალგზარდები.

მ. გორგასლიძე,
ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ფონდში—„პატარა ქართველთა სიცოცხლისათვის“.

ეროვნული სულისკვეთებით

„ემრავლესოგა: „წავიდეთ გაზარზე“

თუ რაოდენ ძნელია საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პრობლემის გადაწყვეტა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა სახალხო დეპუტატებისა და სპეციალისტების დებატებმა სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების მორიგი სესიების პირველმა დღეებმა. რას ფიქრობენ ამის შესახებ „უბრალო მოკვდავნი“?

ამ თემაზე გამოკითხვა მოაწყვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სოციალური ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის სოციოლოგიის კათედრის მეცნიერებმა. გაირკვა ქვეყნის ჩვიდმეტი რეგიონის მოსახლეობის ძირითადი ფენებისა და ჯგუფების წარმომადგენელთა აზრი ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის სხვადასხვა ღონისძიებათა შესახებ.

საბაზრო ურთიერთობის შემოღებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 45 პროცენტმა, წინააღმდეგი იყო—33, პასუხის გაცემა გაუჭირდა—21 პროცენტს. ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა საზოგადოებაში უმუშევრობის დაშვება—65 პროცენტი. მაგრამ არიან ამ მოვლენის სარგებლიანობის მომხრეებიც—18 პროცენტი. მნიშვნელოვნად ნაკლები მომხრე აღმოაჩნდა საცალო ფასების რეფორმას. ვიდრე ფულის რეფორმას. და მაინც ფასების ცვლილებების მომხრეთა რაოდენობა საკმარისად დიდია—მეხუთედ ნაწილზე მეტი.

ისეთ მწვავე საკითხზე, როგორიც არის კერძო საკუთრების დაშვება, აზრი შემდეგნაირად გამოიყურება: კერძო საკუთრების შეუზღუდავად დაშვებას დაქირავებული შრომის უფლებით მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედი ნაწილი უჭერს მხარს, ხოლო კერძო საკუთრების შეზღუდულად დაშვებას დაქირავებული შრომის უფლების გარეშე—თითქმის ნახევარი. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს — 18-19 პროცენტამდე ამ კატეგორიებისადმი დამოკიდებულება ჯერ არ შექმნია.

გამოკითხულთა მესამედზე ნაკლები მზად არის მხარი დაუჭიროს ძირითადი სახის პროდუქტებსა და საქონელზე საბარათო სისტემის შემოღებას. ასეთი ღონისძიების წინააღმდეგია—ნახევარზე მეტი.

გამოკვლეულ იქნა აგრეთვე აზრი რესპუბლიკებს შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე. მას მეტად ბევრი მომხრე ჰყავს—70 პროცენტზე მეტი, წინააღმდეგია—მხოლოდ 12 პროცენტი. სხვანაირად გამოიყურება მოსახლეობის დამოკიდებულება ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მისწრაფებისადმი გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ასეთ ტენდენციას მხარს უჭერს გამოკითხულთა მესამედი, წინააღმდეგია—ნახევარზე მეტი.

ლ. ერმაკოვი,
საკდესის მიმომხილველი.

როგორც ერს სჭირდება

(დასასრული).

ოჯახებისათვის სამოსახლო მიწების გამოყოფა. მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრებით გულაყრილმა ადამიანებმა მიატოვეს მარჩენალი მიწის სავარგულები, გაუყდა და გაეერანდა ძვირფასი მიწები, რამაც მიწის სავარგულების კვეთრი შემცირება გამოიწვია. ახლა, როცა დგება საკითხი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, სრული ქაოსი და განუკითხაობა შეიქმნა. ნაწილი მოსახლეობისა ეძებს და მამა-პაპისეული მიწების დაბრუნებას მოითხოვს, ნაწილი კი თვითნებურად იტაცებს და იკავებს მიწებს, გვახსოვს რამდენიმე წლის წინ როგორი ხვეწნა-მუდარა გვჭირდებოდა გლეხებისათვის საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთები რომ მიგვემაგრებინა, ბევრმა მაშინ მიატოვა კიდეც მიმაგრებული მიწები და ახლა მის დაბრუნებას მოითხოვს. ვინაა მართალი და ვინ არა, ამაზე მკითხაობა ახლა რას გვარგებს. ქაოსიდან თავის დასაღწევად, ჩემის აზრით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ პირველ რიგში, და რაც შეიძლება მალე, შიიღოს კანონი მიწის შესახებ, რაც საფუძველი გახდება მიწის საკითხის გადაწყვეტისა. მანამდე კი მოსახლეობამ თავი შეიკავოს მიწების თვითნებურად გადანაწილებისგან.

ერთი აუცილებლად გასათვალისწინებელი საკითხიც—კოლმეურნეობები გაუქმდა, ან გაუქმების სტადიაშია—მანამდე მათ ხელთ იყო ტექნიკა, რომლითაც გლეხობა მიწებს ამუშავებდა. ამჟამად კი ეს ტექნიკა, მიტოვებულია, მალე გაზაფხულდება და მეეჭვება, რომ გლეხობამ შეძლოს მიწების დამუშავება, მათ ახლა არც ტრაქტორები გააჩნიათ და არც მუშა გამწევი ძალა—ხარები. ჩემის აზრით, საჭიროა, შეიქმნას რაღაც რგოლი ამ გარდამავალ პერიოდში მაინც, სანამ გლეხობა შესძლებს თვით შეიძინოს მიწის დასამუშავებელი ტექნიკა ან გამოზარდოს ცოცხალი გამწევი ძალა. ეს რგოლი მოამზადებს ტექნიკას სეზონისათვის.

ჩემი აზრით, კოოპერაციების შესახებ: ტრიბუნა—ვფიქრობ, ახლა ამ პერატივების შესახებ, ხალხი მას კმაყოფილებით შეხვდა. ფიქრობენ, რომ ის ხელს შეუწყობდა ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. კოოპერაციული მოძრაობა მისასალმებელია მაშინ, თუკი ის მწარმოებლურია, თუკი კოოპერატივი რაიმე პროდუქციას ქმნის, იყენებს გამოუყენებელ ბუნებრივ რესურსებს, იგებს ხალხიც და თვით კოოპერატივებიც, მაგრამ სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ კოოპერაციულ მოძრაობას მიეტმასნენ სხვადასხვა ჯურის თაღლითები, პირადი გამდიდრების მანიით შეპყრობილი ადამიანები და კოოპერატივები სასპეკულაციო ბაზებად აქცივეს. ვფიქრობ, ამაში საზოგადოებაც მხარს დამიჭერს, ასეთი კოოპერატივები დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. აბა, რა საჭიროა ის კოოპერატივი, რომელიც საზოგადოებრივ სავაჭრო ორგანიზაციებში, ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კი აშკარად პროდუქციას შეიძენს, რომელიც ხელმისაწვდომ ფასში ხალხისთვისაა განკუთვნილი, მას სახელს შეუცვლის, ანდა სრულიად იმავე ფორმით ორმაგ და სამმაგ ფასებში გაყიდის. ანდა ისეთი კოოპერატივი, რომელიც ბაზარზე ან მოსახლეობაში პროდუქტებს შეიძენს და თავის ახლადგახსნილ მაღაზიაში სპეკულაციურ ფასებში ჰყიდის.

მოსახლეობამ, რომელმაც პროდუქცია აწარმოა, ის მას გასაღების ადგილსაც უშოვის. საამისოდ არსებობს ბაზარი, კოოპვაჭრობა და დამატებით შუამავალი საჭირო არ არის. შემოგვდავებიან, თუ არ გინდა ნუ იყიდი—ეს იმას ნიშნავს ისარგებლო ხალხის გაჭირვებით და მას სული ამოხადო. თუ ამის ნებას კანონი გრთავს, ბევრი „უკანონო“ კანონი გამოსულა, მაგრამ ხალხის ნებით გაუქმებულა.

გელა ხვადაგიანი,
ქვედა ცაგერის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სარედაქციო ფოსტიდან

◆

კარგი საქმე გაკეთდა

მახაში დიდი სოფელია, ღმერთისა და კაცის წყალობით ხალხმრავალი. ნაკლებად ილტვის ქალაქისაკენ, თუ უკეთ მოვუვლით და ადამიანს ცხოვრების ნორმალურ პირობებს შევუქმნით, ხვალ უფრო გაძლიერდება. მამა-პაპის ფუძის სიყვარულითაა განპირობებული, რომ მახაშელი ჟორა ანდრიას ძე მუშკუდიანი სულ იმის ცდაშია მისი მარჯვენა და ცოდნა არ დაამადლოს ადამიანებს. პირიქით, მისი ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება. მან სოფელ დეხვირიდან ლასხანამდე ერთ კილომეტრ მანძილზე ყორას მონდომებით სოფელ მახაშში შერემონტდა ელექტროხაზები. მას დახმარებას უწევდნენ ელქსელების ხელმძღვანელები ამირან ყურაშვილი და გია მუშკუდიანი.

ყველა კმაყოფილი ვართ, რომ დღეისათვის მახაშში ნორმალურია ელექტროხაზები, მუშაობს რადიო, ტელეფონიც.

მადლობა გამოცდილ, გულიან სპეციალისტს ჟორა მუშკუდიანს, მის გვერდით ვალოდია გოლეთიანს, გუჯუ მუშკუდიანს, მადლობა მთელი სოფლის სახელით.

ვალერიან ჯამბურიძე,
სოფ. მახაში.

კაბელით გაიყვანა რადიოხაზი. გამოცდილ ელექტრომონტიორს გვერდში ამოუდგნენ ზაზა გასვიანი და სოსო ხვადაგიანი. მასალები გამოუყო კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსმა იური ჭაბუკიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიჰარად არას დაგპირდები, საქართველო!

შენთვის დამიზნებულ ტყვიას შუბლს შევუშვერ,
შენსკენ ნასროლ ისარს მკერდით გავიჩერებ,
შენს ჩონგურის სიმთ ულვთოდ დაწყვეტილებს
კვლავაც გაგიმრთელებ, კვლავაც აგიმღერებ.
არას დაგპირდები ჰაიჰარად, მხოლოდ სიტყვით,
საქმით დაგიდგები ფეხზე, ერთადერთო
ქართულ კერაზე რომ კვლავაც ცეცხლი ენთოს,
თალხ ცას გაგილურჯებ, მეწყრებს მოგაშორებ,
ზვავებს გაგიჩერებ ჯიხვთა რქაგრეხილით,
ხრიოკთ გაგიტყევებ, წყაროთ აგიჩქეფებ,
ნუკრებს გაგიმრავლებ ჰალით ატეხილით.
მუხის ფესვებივით ჩავეზრდები შენს თბილ მიწას,
ზამთარში თოვლის ნაბადს წამოვისხამ,
გაზაფხულზე ტყემლის ყვავილებად ავფეთქდები,
ჩიტების ჟღურტულით გაგითენებ დილა სისხამს.
სიცოცხლეს შენს მომავალს ვანაცვლებ,
რომ გზა გაგიმწვანო, გაგიცოცხლო მთა და მდელო,
რომ კვლავ გაგიზარდო ცხრა ძე, ცხრა ასული...
ჰაიჰარად არის დაგპირდები საქართველოვ.

ი. მანდარია.

ცხოვრება პატარა პაცისა

ვუძღვნი ა-ს

ქარი წავიდა...

ნაქარიშხლევი ფოთლები სწყ- ხან... სივრცემ ჩუმად ჩამოიტირა, თითები ჩუმად ფერმკრთალდებიან, გაცრეცილი ყვითელი ნეშოსი და შორეულ ექოთა ჩქამი სივრცეს აწყდება...

მიჩუმდნენ ფერთაცვალების ყრუ ტკივილები და დაემსგავსა ყველაფერი გადავიწყებულ სასაფლაოს.

ქარმა ჩუმად თქვა თავის სათქმელი და მაღლა, ძალიან მაღლა წავიდა, ციურ სამყაროს შეერია...

დედამიწაზე უსასრულოდ გადაიწყნარა და გამეფებულმა მდუმარებამ ჩააფიქრა ყოველი...

ფერთაცვალებამ არემარე გამოაშიშვლა და დედამიწას კურცხალივით გადაელვარა.

—ჩვენ, ადამიანები, თითქოს ცალ-ცალკე ერთმანეთზე უფრო მეტს ვფიქრობთ, ვიდრე პირისპირ, როცა ვიცით, რა გვაქვს სათქმელი...

ყოველი გაქრა, გაიფანტა, ცამკამარაზე ამომხეულდა უნებურად შავი ღრუბელი და ბურუსს მოჰყვა ყოველივე, ხმელი ტოტები ამოიზარდა გრძლად ჩამოწოლილ უზარმაზარ მწუხარე ბინდში. არ ეტირება ღრუბლების ექოს, ქარი მიმოფანტავს ირგვლივ წვიმის წვეთებს და დედამიწა გვალვისფერი ერთიანად შეტორტმანდება, ახლა ხელები ხმელი ტოტებივით, სივრცეში მყუდროდ ქანაობენ.

ჩვენი ხელით, ჩვენ, ჩვენთა მყუდრო ნავთსაყუდარს მხრებით მივათრევთ წვალებ-წვალებით, შექანავდება კიდობანი მღელვარე ტალღებზე, უძიროდ დაბლა გაიშლება ბრმა სასაფლაო და მიტოვებული ღვინის დოქი, ცარიელი ჭიქა და გალავანი, მიცვალებულის საცვლები და ტანი მყუდრო, მჩატე და შესაზარი...

—ჰეი... ყველაფრით ამით გახისაზღვრება შენი ამ ქვეყანაზე მოსვლა დაბადებიდან სიკვდილამდე... ქარი მწუხარე და მგლოვიარე დაეხეტება ყვითელ ფოთლებში, ოღონდ ისე არა, როგორც დედამიწაზე, აქ წყალი უცნაური ხმებით არის გაჟღენთილი...

თითქოს დავბრუნდი საკუთარ თავთან და ფაიფურის მჩატე სხეულს ხელი შევახე.

შენ ჩამძახოდი, „რომ ისევ სხვა ხარ“ და ზღვის უცნაურ ხმებში გარკვევით მესმოდა, როგორ დავეშვი დაბლა, ამ სიზმრის მღვრიე სასაფლაოში...

ჩვენ ერთმანეთის მხარი-მხარ ვდგებით, ისე, როგორც სისხლიან კედელთან სიკვდილმისჯილები და ახლა ერთმა[illegible] მა უფრო ახლო[illegible] საკუთარი მეშინია[illegible] ვლლიან, რომ ჩავიკეტოთ შინაგანად.

„მჭიდროდ დაკეტეთ კარები,
მჭიდროდ.
ო, ფარდის მიღმა დარჩენილო,
ჯერ
კიდევ გულმოდგინებით რომ
გახსენებენ,
ადრე არის თურმე დაწყება“.
ო, საკუთარო გადავიწყებავ და
მოთმინებავ.

ა) ფარდისმიღმა შრიალებს სული...

ბ). სიტყვები ძველი მონეტებივით ხმაურით ცვივა...

გ). და არ გბეზრდება!!!

საკვირველია: ა) მოთმინებით ნაძერწი სული...

ბ) დამცირებაში ნაძერწი სული,
სიყვარულის მარადიულ ძალას უმღერის.

ო, ფარდის მიღმა დარჩენილო მყუდრო ცხოვრებავ, თავდახრილი ვდგავარ მძიმე ფარდასთან და შავ სივრცეს დუმილით ვავსებ.

ა) ადრე არის თურმე დაწყება..

ბ) ადრე არის თურმე დაწყება..

ცვივა სითეთრის ყალბი სინათლე... სარკმელზე სახეგაფითრებული დამჭკნარი ვარდები ულამაზოდ დევს...

უცნაურია ჩვენი ცხოვრება, წუთისოფლის ცდომილ ყმათა ხმათა ვედრების სასაფლაოზე ფეხაკრეფით უწყვეტ ნაკადად მოედინება გრძელი დინება...

მთვარისა გენდელიანი.

ცისფერი სარწყული

ლიტერატურული გვერდი № 7

შემოდგომის პალიტრა

(ფიქრები პროზად)

...მერე აცივდა და ცივმა ქარმა დაუბერა. მე მივდიოდი და ვგრძნობდი, როგორ მცემდა ცივი ქარი სახეში.

„ძნელი არი მარტოობა სულისა“—ტიტო გამახსენდა. მისი სიტყვები ამეკვიატა დილიდანვე.

ციოდა გარეთ, ქარი ანცობდა. შემოდგომა იმზირებოდა გაყვითლებული ხმელი ფოთლებიდან. მალე ზამთარიც მოგვიკაკუნებს და მე, სიცივით სულდაზაფრულს მომიალერსებს თოვლის ფანტელები.

რა მალე გავიდა შემოდგომა.

ფოთოლცვენის წვიმაში უხმოდ დავაბიჯებ მარტოობით გულგასენილი. აუტანლად მებრალება ხმელი ფოთლები, ღმერთმა უწყის, საით გაფანტავს აშარი ქარი..

შემოდგომის პალიტრაზე ფერთა პლეადა გადმოიღვარა, გადატვირთა ეტიუდები. რომელ ხელოვანს გაუძლებს გული, რომ მოლბერტი არ მიუყენოს და პალიტრაზე არ გადაღვაროს ფერთა არილი.

ცისფერია ზეცა, მდუმარე და გაუმჭვირვალი. მას შემოდგომის ზეცა ჰქვია, შემოდგომის და არა ზაფხულის...

ღამეც სხვაგვარია შემოდგომაზე, ბნელი და გულჩახვეული. გარეთ გამოვდივარ და ღამეს შევჩივლებ სულის ტკივილს, უმწვავესსა და მოურჩენელს. ღამეც იზიარებს ჩემს ყოველნაირ განცდას. იქნებ მართლაც ამიტომაა ღამე ასეთი ბნელი, ამდენ ტკივილს რომ იტვირთავს ხოლმე..

„ეჰა, ღამევ, ჩემი სულისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალი ზრახვანი შენი!“.

ღამე კი დუმს, დუმს, დუმს...

შემოდგომა ბატონობს ირგვლივ.

ბნელია ზეცა შუაღამისას, ღამძფერი და დამაფიქრველი.

ზეცავ, ზეცავ, ზე ალმიტაცე, გამაბნიე შენში, ისევე, როგორც მზის სხივი გაიბნევა ხოლმე ჰორიზონტზე.

შენი სიმაღლე მწყურია, ზეცავ, განა იმიტომ, რომ განდიდების სურვილი მღრღნის ძალ ძალიან, მიწიერება მომწყინდა, ცაო, ზეციური ფერიები მიხმობენ მისკენ პოეზიის წკრიალა ხმებით.

ზე ალმიტაცე, მაღალო ცაო, განმარიდე ამაოთა ამაოებას, ზე ალმიტაცე და ვარსკვლავებში დამასახლე, რათა ზემოდან მაყურებლის როლში ვუცქირო მიწიერებას. შენ დუმხარ ცაო, არ გესმის ჩემი ვედრება გულმხურვალე და წრფელი. არ გესმის, მკერდში როგორ ბობოქრობს დაჭრილი გული—„გრძნობების გრდემლი“. ვერ ხედავ როგორ მეფერება ღამით ტკივილი და არ მტოვებს ერთი წუთითაც, ერთგულად დარაჯობს ჩემს სიმარტოვეს.

ცრემლი, გოდება, ტკივილი და სასოწარკვეთა,—რა დაგამშვიდებს ადამიანო!

ზე ალმიტაცე, მაღალო ცაო და განმარიდე, განმაშორე ამაოთა ამაოებას...

დუმს შემოდგომის ღამე, დუმს ჩემებრ ჯიუტად, მოურჩენელი ტკივილი კი ბნელ ღამეებს ეყუყება ფრთებქვეშ.

„სულო ბოროტო“, რას მიპირებ, საით მიმაფრენთ თეთრო დღეებო, გადამსხვრეულო მთვარის სხივებო, ჩაღამებულო, მშრალო თვალებო.

ერთ დროს, ადრე იქნება თუ გვიან, ჩემს საფლავზეც გაწვიმდება ფოთოლცვენის ხმელი ფოთლები...

ერთ დროს მეც წავალ ძალიან შორს, უცხო მხარეში, და არასოდეს არ დავბრუნდები იმ ღელვით სავსე ატმოსფეროში, რასაც სახელად ცხოვრება ჰქვია.

მეც დავინახავ ბოლო ნაპირს, ნაპირს სევდისფერს და ცრემლებით ამოღამებულს.

შემოდგომაა, სულში თარეშობს ნოემბრის ქარი და ტკივილიან სევდას მიწეწავს.

წვიმს ფოთოლცვენა. ტირის ბეღურა (ზამთრის სიცივე უკვე უგრძვნია).

ჯერ კი შორსაა ბოლო ნაპირი..

ბ. მ-ს.

მე ეს საღამოც დამავიწყდება,
ხსოვნაში დათოვს თეთრად, ლამაზად.
მე ეს საღამოც დამავიწყდება
და დავუდგები სიზმრებს დარაჯად.

და წავა ასე, გაქრება ასე
ყველა სევდაზე ლამაზი სევდა,
თეთრ პალატაში სიზმრებით სავსე
აჩურჩულდება უენო ელდა.

გადაირბენენ გრძელი ჩრდილები,
გაუღიმებენ დაღალულ თვალებს
და გუშინდელი მთვარეულები
შემოაღებენ სევდისფერ კარებს.

მე ეს საღამოც დამავიწყდება,
ხსოვნას ჩაათოვს თეთრად, ლამაზად.
ყველა სევდაზე ლამაზი სევდა
ჩემთან დარჩება მუზის დარაჯად.

ნანა აკობიძე.

* * *

...და მთვარის შუქად მოეფინა ბნელეთს სიცოცხლე,
უკანდარჩენილ წყვდიადს არღვევს ცეცხლის ენები,
შენი წუხილის ტკივილები რომც არ ვიცოდე,
მაინც სიტყვაძვირ ერთგულებად მოგეჩვენები.
სამარისებურს გავაელვებ შავ-ბნელ გარემოს,
რატომ?!—არ მკითხო, დე, აიხსნას ენამ ალვირი,
ზარზმით მოვუხმობ სამრეკლოზე მთვარის სამეფოს
და მკვიდრთა მათთა,—ქართველთ ველი ხელში მახვილით.
მოვლენ მიჯნურნი, შეფიცულნი, რწმენა-ხალისით,
უბერებელნი დრო-ჟამისაგან მოვლენ დედანი,
—ჩუ, მშობელ მიწის გულისძგერის ექო გაისმის,
—ჩუ! ხეობაში იბადება შავრა მერანი.
და მთვარის შუქად მოეფინა ბნელეთს სიცოცხლე,
კვლავ გამარჯვებას ზეიმობენ ლამენათევნი.

* * *

არა და არ დაადგა საშველი გათენებას,
ვერა და არ გათავდა ვარსკვლავთა პაემანი,
ფიქრებმა ლამის უკვე მეასედ გახსენეს და
მეასედ ეპილოგში სხვის გულ-მკერდს ჩაეკარი.
მეასედ ჩაგიკონა ნეტარმა მდუმარებამ,
ცრემლ-ოფლად გახვითქულმა მორევმა ჩაგითრია,
და როცა დავაპირე სათქმელი ჩუმად მეთქვა,
შევჩერდი, ვიგრძენი, სხვა მკერდი გაგითბია.
არ იქნა, არ დაადგა საშველი გათენებას.

ტარიელ ფრუიძე.

ოს მეგობრებს

„გაბზარულ საკრავს კიდევ შეკრავ,
ზარს კი ვერასდროს,
მოლს რომ გათელავ, ისე ველარ აბიბინდება“.
ჰენრიკ იბსენი.

ხტიან თვალებში ცის
ვარსკვლავები
და ელვარებენ ფიქრით,
დღე დღევანდელი ხვალინდელის
საფუძველია,
რად იწევთ იქით?..
უგუნურებით გაბზარულ გულს
ვერვინ ამრთელებს;
უბადრუკებო, მეგობრობა
როგორ გათელეთ?!
გონს მოდით, ვიდრე,
გრძნობა ძველი
სულაც მოკვდება,
და განიშორეთ მოღალატის
ჭუჭყი და ვნება...
გონს მოდით, მტერი ჩვენი
ერთია!
ბოლოს ოხვრა და ჩივილი
გახსოვდეთ, ლაჩრის ხვედრია.

დარეჯან ჩორგოლიანი.

აკაკი — 150

სტუმრად სხვიტორში

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ ვწერეოდით პოეტის მშობლიურ საჩხერეს.

ლამაზი იყო იმ დღეს ყველაფერი, ამიტომაც ვიყავით ასე მხიარულნი და გალალებულნი, საოცარ ფერებში იყო გაცისკროვნებული ულამაზესი საქართველო.

ავტობუსშიც არ მოგვწყენია. ერთმანეთს ცვლიდა საინტერესო თამაშობები. ვმღეროდით ა. წერეთლის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს: „სულიკოს“, „ციცინათელას“, „იავნანას“, ვამბობდით ლექსებს და ვემზადებოდით, რათა სხვიტორსა და სავანეში ეს ყველაფერი ერთად წარმოგვედგინა.

როდესაც ძივუახლოვდით მგოსნის მშობლიურ მხარეს, სურვილი გაგვიჩნდა ავტობუსით კი არა, ფეხით შევყოლოდით პოეზიის ბულბულის ნატერფალებს. სიამაყე დაგვეუფლა, სწორედ იქ მივბიჯებდით, სადაც ერთ დროს მხნედ დადიოდა ფიქრიანი აკაკი. მივყევით ნაკვალევს და აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი ახალი ექსპონატებით, დოკუმენტებით, ფოტოსურათებით გამდიდრებული ვიხილეთ. ქვიტკირის სახლი, დიდი კაკლისა და მუხის ხეები, ირგვლივ ყველაფერს ბუნებრივი და რომანტიკული ელფეი ჰქონდა.

„აქ აუცილებლად ლექსს დაწერდა კაცი“—ისმოდა თანატოლთა ხმები, ლექსის წერაც მოგვინდა, გვეგონა მუზამ მოგვაკითხათქო, მაგრამ უცებ გაგვახსენდა, იქ ბულბულის ენით იწერებოდა ლექსები და შევცბით. შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დიდი კაკლის ხის ქვეშ ჩამოვსხედით, სადაც ხშირად უყვარდა დაღლილ აკაკის ჩამოსვენება და გავმართეთ კონცერტი მიძღვნილი აკაკის იუბილესადმი.

დავემშვიდობეთ სხვიტორს და გავეშურეთ სავანისაკენ. სავანეში ჩასვლამდე ვინახულეთ ციხე „მოდი ნახე“, რომელიც ქართველი ერის სიამაყეა.

სავანე. „აქ ავიდგი მე ფეხი, ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც“ გვახსენდება აკაკის სიტყვები „ჩემი თავგადასავალიდან“. ქოხში მიღებული სიამოვნება, სადაც აკაკის ჯკვანი ირწეოდა, სადაც აკაკის სული იჭედებოდა მაღალი იდეებით, განუზომელი და აუწერელი იყო. დაბრუნებისას ვყვებოდით მიღებულ შთაბეჭდილებებს და თანდათანობით ვემზადებოდით საჩხერის საოცარ ბუნებას.

ქუთაისში ჩამოსულებს შესაძლებლობა მოგვეცა დავსწრებოდით ქუთაისის თეატრის სპექტაკლს „შავი კომედია“.

შთაბეჭდილებებით დატვირთულნი მხიარულად მოვიწევდით ლეჩხუმისაკენ, სადაც ერთ დროს მოგზაურობდა დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი. დიდხანს გაგვყვება შთაბეჭდილება ამ ლამაზი, საინტერესო და მშვიდობიანი დღისა.

ლ. ფრუიძე,
ნ. ირემაძე,
ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მოხალისე თანაშემწე (ფრაგმენტი ტაილანდელი ფერმერის ცხოვრებიდან). საკადესის ფოტოქრონიკა

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს
სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული არ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

რაიონული საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილება.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს
სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლე და სიყვარული დაგბედებოდეთ.

ლალი, რიმა კვირკაშვილები, მაყვალა, ნანი მეშველიანები, ნუგზარ ტვილდიანი.

სოფო გვიშიანს
სოსო მუშკუდიანს

გილოცავთ შეუღლებას, სულ ბედნიერი გზით გევლოთ, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

მამუკა, მერაბ ჩხეტიანები, თამილა, ეკა ჩაკვეტაძეები.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს
სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის თანამგზავრი. მუდამ გისურვებთ შვილთა სიმრავლეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები, ბახვა კოპალიანი ოჯახით.



გოგუცა, შოთა ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ ნინიკოს ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნაზიკო, ხათუნა, მურთაზ ჩაკვეტაძეები.

ნანი გვიშიანს
მურად ჩარკვიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, იმრავლეთ და იხარეთ.

ეორა ხეცურიანი ოჯახით.

მარინე დარისპანის ასულ ირემაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი, ჩქუმის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ლამზირა მდივანს
შურმან ყურაშვილს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

სამსონ ყურაშვილი, ეკო, კუკური, ნანი ჩარკვიანები, ამირან ჩახულიანი, ჭიჭიკო კოპალიანი, ანზორ კვირკაშვილი, გია ლეთოდიანი ოჯახებით.

ლეილა, მერაბ
ჟუჟუნა, ოთარ ყურაშვილებს

გილოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას. ღმერთმა გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ. კიდევ მრავალი და-ძმა შემატებოდეს.

გუგული, ლოლა, ნატა, ირინე, მადონა, კოპალიანები, ნუნუ, მურადი ხაბულიანები.

გულნაზი გოგიძეს
კარლო სალინაძეს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ბედნიერი ყოფილიყოს მათი ცხოვრების გზა.

ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები.

გელა სალინაძეს
როლანდ მურცხვანაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეული ქართველი, გისურვებთ მრავალი შვილის აღზრდას.

კუკური მდივანი ოჯახით.

ირინე ვენედის ასულ ნემსწვერიძეს
გოჩა გრიშას ძე თოთაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

მაცაცო, ლია, ხათუნა ფრუიძეები.

თინა, აბესალომ ცხვედიანებს
პინა კოპალიანს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის იას ბედნიერებას. მტკიცე, ძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

გუგული, ლოლა, ნატა, მადონა, ირინე კოპალიანები, ნუნუ, მურადი ხაბულიანები.

გრიგოლ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლილი პლატონის ასული ლიპარტელიანი.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურმან ბურჯალიანს, ავთანდილ, ოლეგ დავითულიანებს დედის, დისა და მამიდის

გოგუცა ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ორბელის საშუალო სკოლის VI კლასი მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი თანაუგრძნობენ მანანა ბურჯალიანს ბებიის

გოგუცა ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგ ლია მურუსიძეს დედის

დარიკო ოყრეშიძე-მურუსიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ალექსანდრე, შარდენ, მარო, შოთა, დავით, კუკური, ლადო, მამუკა, ბესიკი, გელა კოპალიანები, კაკო ხაბულიანი, სერგო ნემსწვერიძე, გერონტი ქომეთიანი, გივი, გიზო საღინაძეები, ეორა, გუგავა იუწყებიან

ლილი პლატონის ასულ ლიპარტელიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები შოთა, რეზო, ძაძუ, დაზმერ, ეორა კოპალიანები, კაკო, ტარიელ, ეოზია ნემსწვერიძეები, გოჩა, ნარიმან, გურამ, დადაში ქომეთიანები, ალბერტ, სოზარ ბენდელიანები იუწყებიან

ლილი პლატონის ასული ლიპარტელიანის

გარდაცვალებას.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.